საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/706
25/01/2018

706-2-08-2-201801251815

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" (შემდგომში- გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოების შესყიდვა პროექტირება- მშენებლობის რეჟიმში გაფორმებულ ხელშეკრულებაში ხელახლა ვადის გაგრძელების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ დეპარტამენტის მომართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებული შესაბამისი თანხმობის (SMP170001668) თანახმად და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1405 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2017 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ს.რ.N3-17 ფარგლებში, შ.პ.ს. „გზა" აწარმოებს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდებარედ, ავტოტრანსპორტის მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 1კმ) მოწყობის სამუშაოებს პროექტირება-მშენებლობის რეჟიმში, რომლის დასრულების ვადა თავდაპირველად განსაზღვრული იყო 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

დეპარტამენტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში წარდგენილი SMP170002719 მომართვის თანახმად, 2017 წლის 28 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3141 განკარგულების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის N2581 განკარგულების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2018 წლის 01 თებერვლამდე.

მიმდინარე წლის 22 იანვარს, მიმწოდებლის მიერ, დეპარტამენტში წერილობით წარმოდგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად,

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

116

[illegible] სამუშაოების მოცულობა შეადგენს 7 853 355,94 ლარს, რაც გაცილებით აღემატება [illegible] ღირებულებას.

[illegible] ორგანიზაციის განმარტებით, სამუშაოთა მოცულობების გაზრდა გამოწვეულია [illegible] გარემოებებით, რომლებიც ნათელი გახდა საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების [illegible]

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მოცულობითია, საჭიროებს დეტალურ [illegible], თუ რამდენად შესაბამისობაშია გარემო პირობებთან და რამდენად ოპტიმალური საპროექტო [illegible] მიღებული.

აღნიშნული პროცესი მოითხოვს შესაბამისი კომისიის (დეპარტამენტის წარმომადგენლების) მიერ, სარეაბილიტაციო მონაკვეთის ადგილზე დათვალიერებას პროექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რისთვისაც საჭიროა დროის გარკვეული მონაკვეთი, ასევე ვინაიდან არსებული ტერიტორია წარმოადგენს ეროზიულ ზონას და გამოირჩევა რთული გეოლოგიური პირობებით, შესაძლებელია პროექტს დასჭირდეს ექსპერტიზა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის თავისებურებები, კერძოდ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროექტირების პარალელურ რეჟიმში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, რისთვისაც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადა არასაკმარისია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა გაიზარდოს 4 (ოთხი) თვით.

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-7[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ამავე წესის მე-7[1] მუხლის მეორე პუნქტის გათვალისწინებით, მოგმართავთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებაში (SMP170001668) ხელშეკრულების შესრულების ვადის გაზრდასთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის შესახებ თანხმობის მიღების მიზნით, რათა შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს შესაძლებლობა, დადგენილი წესით, ამ ცვლილების შესათანხმებლად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

პატივისცემით,

ნუგზარ გასვიანი

[illegible]

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

117